საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №64/ნ

2025 წლის 11 აგვისტო

ქ.თბილისი

„პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 02/07/2024, სარეგისტრაციო კოდი: 430020000.22.022.018531) დამტკიცებული „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველი

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია:

ა) საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება;

გ) დამსაქმებლის მიერ გაცემული საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრებში და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით.“.

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ამ წესის მე-3 მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ორივე გამოცდა და წარმოდგენილი აქვს ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი/ცნობა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი